სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდი

დ. აღმაშენებლის გამზ. N150
0112, თბილისი, საქართველო
+995 32 243 70 01/02/03
mdf@mdf.org.ge

10 ნოემბერი 2026

MOI-MDF N 6160-გ

რწმუნებულება

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (ს/ნ:206074193), მისი აღმასრულებელი დირექტორის გიორგი შონიას სახით, რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „მარწმუნებელი“, შპს „დიკა 2010“-ის (ს/კ:406027981) დირექტორს ნათია ხვედელიძეს (პ/ნ:57001008740), რომელიც შემდგომში მოხსენიებული არის როგორც „რწმუნებული“, ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას:

1. რწმუნებული უფლებამოსილია ქ. თბილისის 162-ე (ს/კ:01.10.17.008.010) და 218-ე (ს/კ:81.05.02.701) საჯარო სკოლების სამშენებლო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასთან (კონტ:N320703/03/182 – 25/12/2024) დაკავშირებულ საკითხებზე იყოს მარწმუნებლის წარმომადგენელი ყველა სახელმწიფო, არასახელმწიფო, ადმინისტრაციულ ორგანოში, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის იუსტიციის სახლში, სსიპ-საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებში, შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერიაში და მის დაქვემდებარებაში მყოფ სამსახურებში, მათ შორის, არქიტექტურის სამსახურში, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, შპს თბილსერვის ჯგუფში, მუნიციპალურ ინსპექციაში, აგრეთვე კომუნალური და ელექტრონული კომუნიკაციების მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციებთან. მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერ ადმინისტრაციულ თუ კერძო წარმოებაში, რომლის მხარეს (დაინტერესებულ პირს) წარმოადგენს მარწმუნებელი, აღნიშნულთან დაკავშირებით: გამოითხოვოს, მიიღოს და წარადგინოს სათანადო დოკუმენტები, ცნობები, ინფორმაციები, პასუხები, ამონაწერები, განცხადებები, შეიტანოს ნებართვები, თანხმობები, პროექტები, ასევე, მოიძიოს და გამოითხოვოს ნებისმიერი სახის დოკუმენტი კომპეტენტური ორგანოებიდან, საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს კორექტირება/ცვლილება უკვე არსებულ პროექტებში, ასევე სხვა დოკუმენტაციაში, გაუგრძელოს ვადა ვადაგასულ დოკუმენტებს. საჭიროების შემთხვევაში, აწარმოოს უძრავი ქონების აზომვითი სამუშაოები, წარადგინოს განცხადებები და ნებისმიერი სხვა დოკუმენტი, ისარგებლოს ხელმოწერის უფლებით, შეასრულოს ყველა მოქმედება, რაც დაკავშირებულია ზემოთხსენებული ხელშეკრულების ფარგლებში, ამ დავალებების შესრულებასთან.

2. არავინ არ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ამ რწმუნებულებით გათვალისწინებული უფლებამოსილებანი იმის გამო, რომ რწმუნებულის უფლებები ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი. რწმუნებულს უფლება აქვს შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ რწმუნებულებაში, მაგრამ აუცილებელია მარწმუნებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

3. რწმუნებულება ძალაშია 2027 წლის 10 თებერვლის ჩათვლით.

გიორგი შონია

აღმასრულებელი დირექტორი

დირექცია